

ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოების შესრულების მეთოდოლოგია

ობიექტი: **SOCAR**-ის ბენზინგასამართი სადგური (სახურავი და დამხმარე ნაგებობები)

1. სამუშაოების მიზანი ობიექტის სახურავისა და კონსტრუქციული კვანძების სრულყოფილი ჰიდროსაიზოლაციო სისტემის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს წყლის შეღწევის სრულ ბლოკირებას, ელასტიურ დაცვას და მინიმუმ 7 წლიან გარანტირებულ ექსპლუატაციას.

2. გამოყენებული სისტემა და მასალები სამუშაოები უნდა შესრულდეს STANCOLAC-ის პოლიურეთანის სისტემით: • 2001 PU Primer – პოლიურეთანის გრუნტი • POLYESTER FLEECE PSF 60 – ჰიდროსაიზოლაციო ლენტით • PU Elastic Grout - ჰიდროსაიზოლაციო პოლიურეთანის ჰერმეტიკული მასალით • PU 2050 – მაღალი ელასტიურობისა და UV მედეგი ჰიდროსაიზოლაციო საფარით • FLEX PU 40 – პოლიურეთანის მასა კვანძებისთვის.

3. სამუშაოების შესრულების ეტაპები

3.1 ზედაპირის მომზადება

1. არსებული ზედაპირის სრული მექანიკური გაწმენდა.
2. მაღალი წნევის რეცხვა (საჭიროების შემთხვევაში).
3. ზედაპირის სრული გამოშრობა (ტენიანობა 5%).
4. ბზარებისა და დაზიანებული უბნების ლოკალიზაცია.

3.2 ბზარებისა და გადაბმის ადგილების დამუშავება

1. დაზიანებული მასალის სრულად მოცილება.
2. 2001 PU Primer-ით ლოკალური დაგრუნტვა.
3. პოლიურეთანის ჰიდროსაიზოლაციო ჰერმეტიკული მასალის **PU Elastic Grout** დატანა.
4. **POLYESTER FLEECE PSF 60** ლენტის ჩადირვა.
5. დამატებითი ფენის გადატარება ლენტის სრული დაფარვისთვის.

3.3 მთლიანი ზედაპირის დაგრუნტვა მთელი სამუშაო ფართობი უნდა დამუშავდეს 2001 PU Primer-ით ერთ ფენად.

3.4 ძირითადი ჰიდროსაიზოლაციო ფენის მოწყობა

1. PU 2050-ის პირველი ფენის დატანა.

2. შრობის შემდეგ მეორე ფენის დატანა.

3. სისქისა და ერთგვაროვნების კონტროლი.

4. ხარისხის კონტროლი. ხორციელდება ზედაპირის ტენიანობის კონტროლი, ფენის სისქის შემოწმება და საბოლოო ინსპექტირება დამკვეთის წარმომადგენელთან ერთად.

5. უსაფრთხოების ზომები. სამუშაოები უნდა შესრულდეს შრომის უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით. პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

6. გარანტია: 7 წელი.